*პროექტი*

# საქართველოს პარლამენტის
# დადგენილება

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 58-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ წარმოდგენილი გაწეული საქმიანობის ანგარიში მიჩნეულ იქნეს დამაკმაყოფილებლად.

2. საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 1 მაისის №595-IIს დადგენილებით შექმნილ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას 2013 წლის 1 აგვისტოდან გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა 1 თვით.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე — დავით უსუფაშვილი

ქუთაისი,
2013 წლის ... ივლისი.
№